შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.748)

3-10 სექტემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დიმიტრი ქუმსიშვილი - საქართველოში არსებული სასტუმროების პრაქტიკულად ნახევარი "ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში შეიქმნა

გვ.2

გამგებელმა დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

გვ. 3

„სტარტაპ საქართველო“ არის პროექტი, რომელიც საქართველოს შეცვლის

გვ. 3



ქარსაფარ ზოლებზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი

გვ. 5



იმიგრანტის დიდგორი

გვ.8

ბანაკის დღიურები

გვ.4

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

700 მილიონი დოლარის ღირებულების ეკოქალაქის მშენებლობა იწყება

საპარტნიორო ფონდთან პარტნიორობით „ჯინო გრინ სითი კორპორაცია" „ჯინო გრინ სითის" მშენებლობას იწყებს. " აღნიშნული პროექტი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე რეკრიაციული ინფრასტრუქტურის, სასტუმროების, გასართობი, სავაჭრო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას გულისხმობს. პროექტის განსახორციელებლად, საპარტნიორო ფონდსა და „ჯინო გრინ სითი კორპორაციას" შორის პარტნიორთა შეთანხმებას ხელი დღეს მოეწერა.პარტნიორთა შეთანხმების ფარგლებში, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ევროპაში პირველი, თანამედროვე ტიპის ეკო ქალაქი - „თბილისი ეკო გრინ სითი" აშენდება. საინვესტიციო გეგმებში შედის ასევე გასართობი და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის განვითარება. თბილისის მერიამ საპარტნიორო ფონდს 261 ჰა მიწის ფართობი გადასცა, რომელიც ეტაპობრივად გადაეცემა „ ჯინო გრინ სითის" შესრულებული საინვესტიციო დაპირების შესაბამისად. ინვესტორის მიერ ამ ტერიტორიაზე საჯარო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ, რაც მოიცავს გზებს, საბავშვო ბაღებს, სკოლებს, სავადმყოფოს და ა.შ. 83 ჰა მიწის ფართი ქალაქის მფლობელობაში იქნება.

„ჯინო გრინ სითი კორპორაცია" სლოვაკურმა კომპანია „ჯინო ინვესტმა" დააფუძნა. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 700 მლნ აშშ დოლარია. პროექტის დაფინანსებაში ჩართვას სლოვაკეთის ექსპორტის ფინანსირების ბანკიც გეგმავს.

ქართულ-სლოვაკურ მხარეებს შორის საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ მოლაპარაკებები რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. „ჯინო ინვესტის" მიერ საქართველოში დაგეგმილ საინვესტიციო პროექტების შესახებ გამართულ პრეზენტაციას საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე სლოვაკეთში საქმიანი ვიზიტის დროს მონაწილეობდა. ფონდის ხელმძღვანელი სლოვაკეთში ბიზნეს, საბანკო, საფინანსო და საპროექტო წრეების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრების მთავარი თემა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები იყო.

სლოვაკი ინვესტორები საქართველოში ერთი თვის წინ იმყოფებოდნენ, დაათვალიერეს რეგიონები, მათ შორის რაჭა და საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი „ჯინო გრინ სითის" პროექტის განსახორციელებლად.

საპარტნიორო ფონდმა „ჯინო ინვესტთან" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გასული წლის ნოემბერში გააფორმა.

„ჯინო ინვესტის" ჯგუფი საპარტნიორო ფონდთან რამდენიმე წელია თანამშრომლობს: ფონდმა ბიზნეს ჯგუფთან ერთად 2013 წელს ახალციხეში, ისტორიული რაბათის ტერიტორიაზე სასტუმრო „ჯინო ველნეს რაბათი" გახსნა, რომელიც სამცხე - ჯავახეთის რეგიონში წარმატებით ოპერირებს. „ჯინო ინვესტის" მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტია ასევე „ჯინო ფერედაისი," აკვაპარკი, რომელიც ამიერკავკასიაში მიჩნეულია როგორც ყველაზე მასშტაბური გასართობი და სარელაქსაციო კომპლექსი.

აკვაპარკის საინვესტიციო ვალდებულება 7 მლნ ევროს შეადგენდა, ხოლო ინვესტორის მხრიდან დაიხარჯა 30 მლნ ევრო. „ჯინო ინვესტმა" ახლახანს მცხეთაში, სასტუმრო „ჯინო ველნეს მცხეთა" გახსნა. 22 ნომრიანი სასტუმრო განსხვავებული ინტერიერით, სპა და ველნეს მომსახურებით დამსვენებელს ულამაზეს ხედს სთავაზობს.

ბიძინა ივანიშვილი – „ქართული ოცნება" დოგმა არ არის, თუ სტანდარტებს არ დაიცავენ პირველი მტერი მე ვიქნები

„ქართული ოცნება" არ არის ჩემთვის დოგმა და პარტია, რომელზეც ვოცნებობ. ის საუბედუროდ ერთადერთია, ვისაც შეუძლია ქვეყნის დადგენილი სტანდარტით მართვა და ამიტომ ვუჭერ მხარს. თუ ეს სტანდარტები დაირღვევა, პირველ რიგში დავინახავ და არ არსებობს დავზოგო, არ გამოვიდე და არ ვთქვა, როგორც მოქალაქემ. თუ სტანდარტებს არ დაიცავენ პირველი მტერი მე ვიქნები, პირველი მე გადავხტები წინ და ვიტყვი ამას", - განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აჭარაში, ადგილობრივ მედიასთან შეხვედრაზე.

ივანიშვილის თქმით, მისი პრემიერობის დროს დამკვიდრებული სტანდარტები ხელისუფლებაში დღესაც მოქმედებს.

„სტანდარტი დაფუძნდა, რომ კანონის უზენაესობა პირველ რიგში მთავრობას და მის მეთაურს უნდა მოეთხოვოს. ამ მხრივ იდეალური პიროვნება გყვავს, გიორგი კვირიკაშვილი. „ქართული ოცნების" მთელმა გუნდმა 4 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ საზოგადოების მიერ დაქირავებულია, გარდა ცრუ აჟიოტაჟისა, რის აწევასაც დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდა „ნაციონალური მოძრაობა" - გამოწერილი პრემიები იყო „ქართული ოცნების" და მთავრობის ყველაზე დიდი დანაშაული. ნებისმიერი სახელმწიფო იოცნებებდა, რომ მხოლოდ ამ ნიშნით აკრიტიკონ მთავრობა. მე ლიდერი ვიყავი და წავედი, გუნდის დიდი ნაწილი დარჩა, ჰყავს ძალიან მაგარი ლიდერი კვირიკაშვილის მეთაურობით. დარჩა სტანდარტი, რომ სამართლიანობა პირველ რიგში გუნდს და მის მეთაურს მოეთხოვება.", - განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც ყოფილმა პრემიერმა აღნიშნა, ის მთავრობას მკაცრად აკონტროლებს: „ძალიან დიდი მოთხოვნა და დიდი ყურადღებაა მთავრობის ყველა წევრზე ჩემი მხრიდანაც და საზოგადოებაც უყურებს ამას, რომ პირველ რიგში მათ დაიცვან კანონები. არ გაბედონ თანამდებობა სათავისოდ გამოიყენონ. სახელმწიფო სტრუქტურებმა არ გაბედონ და „ქართული ოცნების" და პარტიული გუნდის სამსახურში არ გადავიდნენ. მე, როგორც მოქალაქე, მთავრობის ყველაზე მკაცრი კონტროლი ვარ. ბევრი პოლიტიკოსი ველარ აღწევს სასამართლო ჯიბეში ჩაიდოს. ათასი ტერმინი შემოიღეს „ივანიშვილის პატიმრები", „ივანიშვილის ტყვეები", ამ დროს, მე თუ მკითხავთ, კანონთან მაიგივებენ", - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა,

მისივე თქმით, მას ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევის არანაირი ბერკეტი არ აქვს და საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ გაკრიტიკება შეუძლია.

„კანონს ძალა მიეცა, ეს მოიტანა ამ გუნდმა და ამას მიიჩნევენ, რომ მე ვმართავ. არა, მე არ ვმართავ, კვირიკაშვილი მართავს და ძალიან წარმატებულად, მაგრამ იგივე სტადარტებით. მანამდე, კანონი გუნდზე არ მოქმედებდა, დანარჩენ მოსახლეობაზე კი კუბში აყვანილი იყო, ცხვირ-პირს უმტვრევდნენ საკუთარ მოსახლეობას. მე არ მყავს ჩემი ჯარი, როგორც ამბობენ, რომ მართავსო, არ მყავს ჩემი პოლიცია, არავითარი ბერკეტი არ მაქვს, გარდა საუბრისა", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გერმანიაში საქართველოს ერთი მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულიც კი უკვე ჩვენი პრობლემაა – შს მინისტრი

„გერმანიაში საქართველოს თუნდაც ერთი მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულიც კი უკვე ჩვენი ქვეყნის პრობლემაა და მის იმიჯს სერიოზულ ზიანს აყენებს", - ამის შესახებ გერმანიში ვიზიტით მყოფმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა. შს სამინისტროს ინფორმაციით, მღებრიშვილი და ფედერალური მიწების შს მინისტრები დანაშაულთან ბრძოლის კუთხით პრევენციული ზომების გაძლიერებასა და ინფორმაციის სისტემატურ გაცვლაზე შეთანხმდნენ.

„ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ ამ პრობლემის დასაძლევად. საჭიროა პრიორიტეტების განსაზღვრა, საერთო პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა", - განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შტუტგარტში ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა მინისტრს, თომას შტრობლს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და გერმანიის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაზე ისაუბრეს. როგორც საქართველოს შს მინისტრმა აღნიშნა, იგი გერმანელ კოლეგებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

გიორგი მღებრიშვილმა და თომას შტრობლმა ხელი მოაწერეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა, გაციფროვნებისა და მიგრაციის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს", რომელიც დანაშაულის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის სფეროში შესაბამის უწყებებს შორის საპოლიციო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას გულისხმობს", - აცხადებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი – გამიმართლა, რომ საქართველოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და ახლა მაქვს შესაძლებლობა აქ ვიცხოვრო და ვიმუშაო

საქართველოში დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი თბილისში ჩამოვიდა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს პრესსამსახურიდან აცნობეს.

როგორც ელჩმა განაცხადა, მისთვის დიდი პატივია საქართველოში მისი უდიდებულესობის ელჩად დანიშვნა.

"მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები. გამიმართლა, რომ საქართველოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და ახლა მაქვს შესაძლებლობა აქ ვიცხოვრო და ვიმუშაო. საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის მყარი მეგობრული ურთიერთობებია. სამომავლოდ, ბევრი საინტერესო მიმართულებით არის შესაძლებელი ამ ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება",- განაცხადა ელჩმა.

მაკენზი სმიტი ელჩის მოვალეობის შესრულებას მას შემდეგ შეუდგება რაც რწმუნებათა სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საქართველოში ელჩად დანიშვნამდე, მაკენზი სმიტი ბრიტანეთის დიპლომატიურ სამსახურში სხვადასხვა საქმიანობით იყო დაკავებული. მისი უკანასკნელი მისია იყო მეხიკოში, დიდი ბრიტანეთის საელჩოში, სადაც ის ელჩის მოადგილე და ვაჭრობისა და ინვესტიციების მიმართულებით დირექტორი იყო. მანამდე კი, იგი იმყოფებოდა გაერო-ს დიდი ბრიტანეთის მისიაში, ნიუიორკში. დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის სამინისტროში მას ნამუშევარი აქვს აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ევროკავშირის, ეუთო-ს, ადამიანის უფლებათა დაცვის და მედიის საკითხებზე.

დიმიტრი ქუმსიშვილი – საქართველოში არსებული სასტუმროების პრაქტიკულად ნახევარი "ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში შეიქმნა

მხოლოდ 2013-2015 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა მთლიანი სასტუმროების რაოდენობის 41,5%, ანუ პრაქტიკულად, საქართველოში არსებული სასტუმროების ნახევარი სწორედ "ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში შეიქმნა, - ამის შესახებ პირველმა ვიცე პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომელმაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, გიორგი ჩოგოვაძესთან ერთად 2016 წლის ზაფხულის ტურისტული სეზონი შეაჯამა.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, მნიშვნელოვანი დაზუსტება გააკეთა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. მისი მონაცემებით, 2015 წელს 172 ახალი სასტუმრო შევიდა ექსპლუატაციაში. დღეს საქსტატის მონაცემებით, საქართველოში სულ 1225 სასტუმროა.

"შესაბამისად, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში 508 სასტუმრო შევიდა ექსპლუატაციაში. ამ მონაცემებში ჩვენ არ შეგვყავს 2012 წელს ექსპლუატაციაში შესული სასტუმროების რაოდენობა. საერთო ჯამში, 3 წელიწადში საქართველოს მასშტაბით 508 სასტუმრო შევიდა ექსპლუატაციაში, რაც 58%-ით აღემატება 2012 წლის ჩათვლით ექსპლუატაციაში შესული სასტუმროების რაოდენობას. მხოლოდ 2013-2015 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა მთლიანი სასტუმროების რაოდენობის 41,5%, ანუ პრაქტიკულად, საქართველოში არსებული სასტუმროების ნახევარი შეიქმნა სწორედ ჩვენი ხელისუფლების მმართველობის პირობებში და ეს არის სწორედ ის შედეგი, რომელიც მოჰყვა ჩვენს შრომას, რამაც შექმნა განსაკუთრებული საინვესტიციო პირობები და ის შესაძლებლობები, რომ ადამიანებს და კომპანიებს განეხორციელებინა თავისი ინვესტიციები", - განაცხადა ქუმსიშვილმა.

რაც შეეხება 2016-2017 წლის გეგმებს, მისივე თქმით, კერძო ბიზნესთან კომუნიკაციის შედეგად, არის 1,1 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციების მოლოდინი.

"ეს არის პრაქტიკულად, დაწყებული, იდენტიფიცირებული პროექტები. ეს არის ის დამატებითი სამუშაო ადგილები, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანია. ეს არის შედეგი იმ ბიზნესკლიმატის, რომელიც ჩვენ აკმ ქვეყანაში შევქმენით. 60-ზე მეტი ახალი განთავსების ობიექტი შეიქმნება, რაც დამატებით 3 800-ზე მეტს საწოლ ადგილს გულისხმობს", - განაცხადა ქუმსიშვილმა.

გამგებელმა დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

1 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სამრეკლოში დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

სოფელ სამრეკლოში ახალი გზა დაიგო მე-10 და მე-11 ქუჩებზე, ხოლო მე-2 ქუჩაზე დამონტაჟდა გარე განათების სისტემა.

„ჩვენ დავპირდით ამ ქუჩების მაცხოვრებლებს, რომ აუცილებლად გავუკეთებდით გზას, გარე განათებას და ჩვენ ეს დაპირება შევასრულეთ. მიხარია,რომ მოსახლეობა კმაყოფილია და მადლიერებას გამოთქვამს გაკეთებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

,,ჩვენს ქუჩაზე გზა ამ ზაფხულს დაიგო და ძალიან კმაყოფილები ვართ. 70 წელია, ჩემი მშობლები აქ ცხოვრობენ და ამ ხნის მანძილზე ჩვენ მოასფალტებული გზა უბანში არ გვქონია, ეს გზა არ გაკეთებულა არც კომუნისტების დროს და არც წინა მთავრობის დროს. დიახ, უბნის მოსახლეობა მადლიერნი ვართ ხელისუფლების, ჩვენი გამგებლის, რომ ძალ-ღონეს არ იშურებენ და ასეთ დიდ ყურადღებას გვაქცევენ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მუშებიც ძალიან კარგად მუშაობდნენ“ - განაცხადა მე-11 უბნის მცხოვრებმა მაია ლეკაშვილმა.

სამრეკლოელი გულო იაკობიშვილი აცხადებს, რომ მისი უბანი ძლივს გამოცოცხლდა:“ ადრე აქ მანქანებიც კი ნაკლებად მოძრაობდნენ, რადგან გზა საშინელ პირობებში იყო. უბანში პროდუქტის ჩამოტარებასაც კი ერიდებოდნენ, ახლა ეს უბანი სატრანზიტო გახდა. როგორც ამბობენ, ერთ დღეს ქვეყანა არ აშენებულა, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ის გააკეთა, რასაც დაგვპირდა და იმედი მაქვს, რომ ჩვენი სოფელი კიდევ უფრო განათდება და გალამაზდება“.

სოფლის სხვა მაცხოვრებლებმა იმედი გამოთქვეს, რომ რეაბილიტირებული ქუჩების ბედს სხვა ქუჩებიც გაიზიარებს.

გამგებლის განცხადებით, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინფრასტრუქტურული სამუშაოები კვლავ გაგრძელდება და სოფელში ცხოვრება გაცილებით მიმზიდველი გახდება.

„სტარტაპ საქართველო“ არის პროექტი, რომელიც საქართველოს შეცვლის

ის, რომ თქვენი გამარჯვების სიმბოლო არის ფილმ „შერეკილების“ ძალიან ცნობილი საფრენი აპარატი, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ არც ერთი იდეის არ უნდა შეგეშინდეთ, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ ინოვაციური კომპონენტის 36 გამარჯვებულს, რომლებიც დაჯილდოვდნენ.

მთავრობის მეთაური მოხარულია, რომ ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთების განვითარების იდეას ხორცი შეესხა და კიდევ 36 დამწყები ბიზნესმენი დაფინანსდა, ხოლო, „სტარტაპ საქართველოს“ მაღალტექნოლოგიურ კომპონენტს 20 გამარჯვებული ჰყავს.

„ეს არის ჩემთვის პირადად ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, თუკი რამ წამომიწყია ცხოვრებაში და ნამდვილად მეამაყება, რომ საქართველოში დღეს არის საშუალება, ადამიანმა ნულიდან, მართლაც არაფრიდან, მხოლოდ საინტერესო იდეაზე დაყრდნობით დაიწყო ბიზნესი. ძალიან მახარებს, რომ საქართველოში უკვე შეიქმნა და ფუნქციონირებს ეკოსისტემა, სადაც ახალი, ინოვაციური იდეები ხორცს ისხამს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დამწყები ბიზნესის ხელშეწყობა ეს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა საპარტნიორო ფონდს, ეკონომიკის სამინისტროს და ყველა ადამიანს, რომელთა მეშვეობით, ეს სისტემა ძალიან მოკლე პერიოდში ჩამოყალიბდა. მთავრობის მეთაურმა ასევე გამარჯვება მიულოცა ყველა გამარჯვებულ დამწყებ ბიზნესმენს, ხოლო მათ, ვინც დაფინანსება ამ ეტაპზე ვერ მოიპოვა, წარმატებები უსურვა.

„მინდა, წავახალისო ყველა, ვინც ამ ეტაპზე ვერ მოიპოვა დაფინანსება, მინდა გითხრათ, არასოდეს გაჩერდეთ. ის, რომ თქვენი გამარჯვების სიმბოლო არის ფილმ „შერეკილების“ ძალიან ცნობილი საფრენი აპარატი, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ არც ერთი იდეის არ უნდა შეგეშინდეთ. არასოდეს უნდა იფიქროთ, გადადგათ თუ არა ნაბიჯი წინ. არასოდეს იფიქროთ, ვინმეს ხომ არ აქვს ასეთი გაკეთებული - როგორც კი მოგივათ საინტერესო იდეა, ყოველთვის გადადგით პირველი ნაბიჯი და ის აუცილებლად გაამართლებს. თუ პირველი არა, მეათე გაამართლებს. დარწმუნებული ვარ, ეს არის პროექტი, რომელიც საქართველოს შეცვლის, რომელიც თვისობრივად ახალ ეკონომიკის მიმართულებას გააჩენს ქვეყანაში და ამ პროექტის მხარდაჭერა აუცილებლად გაგრძელდება. მინიმუმ ათწლეულია საჭირო, რომ ამ მიმართულების წახალისებამ თვისობრივი, ხარისხობრივი ცვლილებები შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში და ჩვენ ნამდვილად მოწოდებული ვართ, ეს მიმართულება გავაძლიეროთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ სამომავლოდ, პროექტის ბიუჯეტის გაზრდაც იგეგმება.

„სტარტაპ საქართველოს“ ჯამში, 56 გამარჯვებული ჰყავს. კონკურსის შემდგომი ეტაპი, დაფინანსების მოპოვებისთვის, 20 სექტემბრიდან გამოცხადდება.

ღვინის კერძო კომპანიები ყურძნის ჩაბარებას მომდევნო კვირიდან დაიწყებენ

რთველის საკოორდინაციო შტაბის ინფორმაციით, კახეთში რთველი აქტიურ ფაზაში მომდევნო კვირიდან შევა. ამ დროისთვის გლეხებისგან ყურძენს წნორსა და დედოფლისწყაროში მდებარე სახელმწიფო საწარმოები იბარებენ, კერძო კომპანიები და ყურძნის მიღებას მომავალი კვირიდან დაიწყებენ.

„ყურძენს ამ დროისთვის სულ 14 საწარმო ამუშავებს, აქედან სამი სახელმწიფო საწარმოა, დანარჩენი - კერძო კომპანიები. კერძო კომპანიები ძირითადად ან თავიანთ ყურძენს ამუშავებენ, ან წინასწარ თუ იყვნენ შეთანხმებული რომელიმე მევენახესთან, მათგან ყიდულობენ, ნებისმიერი პირისგან ჯერ არ იბარებენ ყურძენს. კომპანიები უკვე ემზადებიან ტექნიკურად და მომავალი კვირიდან აქტიურ ფაზაში შევა რთველი“, - განაცხადეს რთველის საკოორდინაციო შტაბში.

მათივე ცნობით, ყურძენზე ფასები არ შეცვლილა და მევენახე სუბსიდიის ჩათვლით კილოგრამ რქაწითელში 80 თეთრს, ხოლო საფერავში 1 ლარს იღებს, აქედან სუბსიდიის თანხა რქაწითელის შემთხვევაში 45 თეთრია, საფერავზე კი 20 თეთრი.

დღეისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში ყურძნის ჩაბარების მსურველი 60 კომპანიაა დარეგისტრირებული. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, რთველის პროცესში წელს 100-მდე ღვინის კომპანია ჩაერთვება.

ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის ღვინის კომპანიების მიერ 5 067ტონა ყურძენია გადამუშავებული, საიდანაც 1 716ტონა რქაწითელია, 2 095 ტონა საფერავი, 261ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

მულტითემატური საზაფხულო ბანაკი სპექტრი

როგორც ყველა დედოფლისწყაროელს, მეც ჩემებურად და გამორჩეულად მიყვარს ჩვენი პატარა ქალაქი - დედოფლისწყარო. ყოველთვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მშობლიური ქალაქისა და ჩემი ხალხის წინაშე. ერთი მხრივ, მადლიერების, მეორე მხრივ, უდიდესი სიყვარულის ერთგვარი გამოხატულებაა ის, რომ ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია ადგილობრივი თემის განვითარებას მოვახმარო, ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო საზოგადო საქმეში და უბრალოდ გავაკეთო რაიმე სასარგებლო, რაც ჩემს გარშემომყოფთა ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის, თუნდაც სულ მცირე დოზით. ამგვარად, სურვილი ბადებს იდეას, მე კი გამუდმებით ვეძებ გზებს ამ იდეების რეალიზებისთვის.

საზოგადოებრივი აქტივობებისთვის ყველაზე მეტი დრო ზაფხულში მრჩება, ამიტომ ყოველთვის მოუთმენლად ველი მის დადგომას. ძალიან მინდოდა, წლევანდელი ზაფხული კიდევ უფრო განსაკუთრებული და დაუვიწყარი ყოფილიყო. ბევრი ვიფიქრეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, რა სახის პროექტი განგვეხორციელებინა ამჯერად. გვჭირდებოდა რაღაც ისეთი, რაც ზაფხულის ფერად დღეებს კიდევ უფრო შინაარსიანსა და მრავალფეროვანს გახდიდა... ასე დაიბადა საზაფხულო ბანაკის იდეა, რომელმაც ჩვენი გონებიდან ფურცლებზე გადაინაცვლა, ფურცლებიდან კი რეალობაში. საზაფხულო ბანაკს „სპექტრი“ ვუწოდეთ, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან გვინდოდა, დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისთვის ზაფხულის დღეები კიდევ უფრო გაგვეფერადებინა და 7 ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და დაუვიწყარი დღე გვეჩუქებინა. ვფიქრობ, გამოგვივიდა კიდეც. მოდი, შევაჯამოთ თითოეულ დღეს განვითარებული მოვლენები.

პირველ დღეს ყოველთვის თან ახლავს სტრესი, დაძაბულობა და ნერვიულობა. მეც ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა თავში, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მონაწილეებმა პირველივე დღეს მოახერხეს ჩვენი გაოცება თავიანთი მრავალმხრივი ნიჭითა და ენთუზიაზმით. პროგრამას რაც შეეხება, ძირითადი აქცენტები გავაკეთეთ ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე. მონაწილეები დავყავით გუნდებად და მივეცით სხვადასხვა სახის დავალებები, რომლებსაც არაჩვეულებრივად გაართვეს თავი. დღის ბოლოს კი გავმართეთ ბანაკის პრეზიდენტის არჩევნები. თითოეულმა გუნდმა წარმოადგინა თავისი კანდიდატი, რომელიც აუდიტორიის წინაშე წარსდგა საარჩევნო პროგრამით. ძალიან საინტერესო იყო მათი იდეების მოსმენა ბანაკთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე და მოვლენების შეფასება მათი პერსპექტივიდან. ხმათა უმრავლესობით ბანაკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ანა დავითაშვილი.

მეორე დღე მთლიანად დაეთმო ჯანსაღი ცხოვრების წესის თემატიკას. მონაწილეებს აღნიშნულ თემაზე ესაუბრა მოწვეული სტუმარი - ექიმ-პროფილაქტიკოსი ქეთევან ბოსტაშვილი. მან ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა ცოდნა მოზარდებისათვის ამ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქალბატონი ქეთი არა მხოლოდ თავისი საქმის პროფესიონალი, არამედ არაჩვეულებრივი მოსაუბრეა. მან თბილი და მეგობრული ატმოსფერო შექმნა, რომელშიც ყველამ კომფორტულად იგრძნო თავი და მაქსიმალურად გაიხსნა. ამ ძალზე ინფორმატული სესიის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო ფაქტი მოხდა. ბანაკში გვეწვივნენ სასწრაფო დახმარების ექიმები, რომლებმაც ისაუბრეს პირველადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე სხვადასხვა სიტუაციაში, მეტად სასარგებლო რჩევებიც მისცეს მონაწილეებს და უპასუხეს მათ შეკითხვებს. დღის მეორე ნახევარში უკვე ფიზიკური აქტივობების ჯერი დადგა და გადავინაცვლეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრში. ჩვენმა მშვიდობის კორპუსის მოხალისემ მონაწილეებს ვარჯიშების სხვადასხვა ტიპი წარუდგინა, ისაუბრა მათ დანიშნულებასა და სარგებელზე, დღის ბოლოს კი გავმართეთ შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ნაყოფიერი დღე გვქონდა, მართლაც.

მომდევნო დღე მიეძღვნა ეკოლოგიის თემას. ვესტუმრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ოფისს, სადაც მოვისმინეთ თეიმურაზ პოპიაშვილის ლექცია მგლების შესახებ. ბევრი საინტერესო რამ ვისწავლეთ და მცდარი წარმოდგენებიც დავამსხვრიეთ. პრეზენტაციის შემდგომ ადგილობრივმა თანამშრომლებმა ექსკურსია მოგვიწყვეს. მოგვიანებით ასევე ვნახეთ ფილმი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ. სამწუხაროა, თუმცა რეალობაა, რომ დედოფლისწყაროს მცხოვრებთა უმეტესობა არ იცნობს საკუთარ ქალაქს, არასოდეს უნახავს მსოფლიო მნიშვნელობის ღირსშესანიშნაობები, რომლებიც სწორედ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. მიხარია, რომ ჩვენმა პროექტმა საშუალება მისცა ახალგაზრდების ნაწილს, უკეთ გაეცნო მშობლიური ქალაქი და უკეთ გაეცნობიერებინა მისი მნიშვნელობა. დღის მეორე ნახევარი ძირითადად დაეთმო მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. ბავშვებმა გამოუსადეგი ნივთებისა და მაკულატურისაგან დაამზადეს უნიკალური ნაკეთობები, ჩასაცმელი და სხვადასხვა აქსესუარი. საოცარი კრეატივი და მოზღვავებული ემოცია - დღე არაჩვეულებრივად დამთავრდა.

მეოთხე დღეს სპექტრის საზაფხულო ბანაკის რაზმი სრული შემადგენლობით ელიის მთისკენ გაემართა, სადაც მაშტაბური დასუფთავების აქცია მოვაწყეთ. ერთობლივი ძალებით გავწმინდეთ ელიის მიმდებარე ტერიტორია და დავტოვეთ პოსტერები სხვადასხვა ლოზუნგით, რომლებიც გამვლელებს მოუწოდებს, გაუფრთხილდნენ ბუნებას და არ დააბინძურონ გარემო. ამ დღეს ყველა გამორჩეულად ბედნიერი და კმაყოფილი იყო, ჩვენ ხომ ერთობლივი ძალებით არცთუ უმნიშვნელო საქმე გავაკეთეთ...

მეხუთე დღეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შევეჭიდეთ, კარიერასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების დასახვა ვცადეთ. ამაში ჩვენი მოწვეული სტუმარი, წარმატებული ბიზნესმენი - ბექა გონაშვილი დაგვეხმარა. მან მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება და მისცა სასარგებლო რჩევები, რომლებიც მათ აუცილებლად დაეხმარება წარმატების მიღწევაში. ბექასგან ასევე მივიღეთ ძალიან საინტერესო ბიზნეს-წინადადება, რომელსაც აუცილებლად განვავითარებთ უახლოეს მომავალში. დღის მეორე ნახევარში ბანაკის მონაწილეებმა მოისმინეს პრეზენტაცია თემაზე - როგორ ვწეროთ რეზიუმე და მოემზადნენ საქმიანი გასაუბრებისთვის, მოგვიანებით კი გავმართეთ დასაქმების ფორუმი. აპლიკანტებმა შექმნეს საკუთარი რეზიუმეები და გაიარეს გასაუბრება სხვადასხვა „დამსაქმებელთან“, რომელთა როლში მოგვევლინნენ ბანაკის ლიდერები და აქტივისტები. ჩვენმა გენიოსებმა, რა თქმა უნდა, ამჯერადაც გაგვაოცეს და დაგვარწმუნეს, რომ მზად არიან მომავლისთვის, სათანადო ცოდნითა და უნარებით შეიარაღებული.

დღე მეექვსე - სპექტრის კიდევ ერთი ფერი და კიდევ ერთი ურთულესი ამოცანა... პროექტის წარმატება ყველაზე მეტად სწორედ ამ დღეზეა დამოკიდებული... დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი - პროექტებზე მუშაობის დრო. თავდაპირველად ვიმსჯელეთ დედოფლისწყაროში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. განვიხილეთ პროექტი, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა. მონაწილეებმა მოისმინეს სემინარი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, შემდეგ კი თავად შეუდგნენ მუშაობას და დაგეგმეს პროექტები, რომლებსაც განახორციელებენ უახლოეს მომავალში.

...და აი ისიც, ცოტა სენტიმენტალური, ცოტა ემოციური, თუმცა ყველაზე დასამახსოვრებელი ბოლო დღე. ყველაფერი დასასრულს უახლოვდება. დაღლილ-დაქანცული უკანასკნელ ენერგიას იკრებ, თუმცა მაინც არ გინდა, რომ დამთავრდეს. ვერ წარმოგიდგენია, რომ დამთავრდება. თუმცა, იქნებ არც მთავრდება და იმიტომ...

რა შეიძლება ითქვას?! მართლაც, დაუვიწყარი 7 დღე გავატარე არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად. პირველ რიგში, უზომოდ ამაყი ვარ იმ ადამიანებით, რომლებიც გვერდში მედგნენ მთელი პროექტის განმავლობაში და უდიდესი როლი ითამაშეს მის წარმატებით განხორციელებაში. ასევე მეამაყება პროექტის მონაწილე თითოეული ახალგაზრდა, რომელთაგან უამრავი რამ ვისწავლე და უდიდესი სითბო ვიგრძენი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება.

ბანაკის დღეები ამოიწურა, თუმცა ბავშვებს თან მიაქვთ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ დღეების განმავლობაში მიიღეს უფროსი მეგობრებისა და თანატოლებისაგან და რომელსაც აუცილებლად გამოიყენებენ საკუთარი თავისა და ქვეყნის სასიკეთოდ. ის ენერგია, რომელსაც ჩვენ ერთმანეთში ვდებთ, ერთმანეთს ვუნაწილებთ, არასოდეს იკარგება. ბანაკი „სპექტრი“ სპექტრელების სახით აგრძელებს არსებობას. ვფიქრობ, პროექტის მთავარი მიზანი მიღწეულია, დედოფლისწყაროში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მოტივირებული ახალგაზრდების გუნდი, რომელიც მზად არის, მოახდინოს სასიკეთო ცვლილებები ადგილობრივ თემში და იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის.

ქეთი ჩაფიაშვილი

ქარსაფარ ზოლებზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი

მოსავლის აღების შემდეგ, ზაფხულის სეზონზე, დედოფლისწყაროს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კარლო ამირგულაშვილი სამუშაო რეჟიმში ესტუმრა და გარემოს დაცვის მიზნით, საკმაოდ დიდი კამპანია წამოიწყო. მან, მაღალი ეშელონებიდან პირველმა აწარმოა საზოგადოების ხმამაღალი ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ნაკვეთების გადაწვა საზიანოა.ეს მეთოდი ნიადაგს ფიტავს და ძალიან აბინძურებს გარემოს, რაც პირდაპირკავშირშია ადამიანთა ჯანმრთელობასთან.

ამის შესახებ დაიწერა სტატიები, გაშუქდა ინფორმაციები სხვადასხვა მედიასა თუ ჟურნალ-გაზეთებში. რამდენად ეფექტური გამოდგა ბატონი კარლო ამირგულაშვილის წამოწყება და იმუშავა, თუ არა მიწვდილმა ინფორმაციამ მასაზე, რთული სათქმელია, რადგან ნამჯის და ბალახის ნამწვი კვლავ უხვად დაფრინავდა გასული წლების მსგავსად დედოფლისწყაროს ირგვლივ, თუმცა, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამწვის რაოდენობამ წელს გაცილებით იკლო, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობაში ნელ-ნელა მკვიდრდება კულტურა, ნიადაგის არგადაწვასთან დაკავშირებით. დედოფლისწყაროს ნაკვეთების გადაწვის და სხვა გარემოსდაცვით საკითხებზე „შირაქი“ ბატონ კარლო ამირგულაშვილს დავუკავშირდა და მასთან ინტერვიუ ჩაწერა.

-ბატონო კარლო, რამდენადაც ვიცი, 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილი პირველი მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა, შემდეგ იყო 1992 წლის 9 მაისი, როდესაც ნიუ-იორკში იქნა მიღებული ახალი ჩარჩო კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებზე, რა დოზითაა საქართველო ჩართული მსოფლიო ჩარჩო კონვენციაში, რიგით მერამდენე კონვენცია გველოდება წინ, როდისაა ჩანიშნული ის და რას ითვალისწინებს ჩარჩო კონვენციები საერთოდ, სადაც, როგორც ვიცი მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაა ხოლმე ჩართული?

-საქართველო საკმაოდ ბევრ კონვენციასაა მიერთებული და აღებული აქვს ის ვალდებულებები, თუ სარეკომენდაციო ხასიათის შესასრულებელი ქმედებები, რასაც კონვენცია ითვალისწინებს. ამ მხრივ გამორჩეულია ბიომრავალფეროვნების საკითხი. საქართველო აქტიურად მონაწილეობს სამუშაო შეხვედრებში, ანგარიშგებისა, თუ დოკუმენტების შემუშავების პროცესში. რაც შეეხება რიგით მერამდენე კონვენცია გველოდება, რთული სათქმელია, ვინაიდან ეს დამოკიდებულია გლობალურ პროცესზე და ნებაზე.

-რა როლი აკისრია ადამიანს ბუნების გაფრთხილების საქმეშიდა რამდენად შეუძლია მის კეთილ ნებას გადაარჩინოს გარემო?

-დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას სწორედ ანთროპოგენული საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ, თუ ირიბად ახდენს ზეგავლენას გარემოს მდგომარეობაზე. განსაკუთრებით ეს დამოკიდებულება ვლინდება განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის სოფიალური ფონი დაბალია და ამის გამო ბუნებრივ რესურსზე დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. ბუნებრივი რესურსების სწორად და რაციონალურად გამოყენება საფუძველს იძლება შეარბილოს უაყოფითი ბუნებრივი პროცესების, და ამავე დროს უზრუნველყოს სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები.

-საინტერესოა, მსოფლიოში სადაა ყველაზე მძიმე და კრიზისული მდგომარეობა გარემოს დაცვის კუთხით?

-გარემოს დაცვა ფართო გაგებაა და ვინაიდან მე სატყეო სექტორის წარმომადგენელი ვარ, ჩემს შეხედულებებს ტყესთან დაკავშირებით გავაკეთებ. მსოფლიოში არის ცხელი წერტილები, სადაც ტყის რესურსების გამოყენება არამდგრადი მეთოდებით ხორციელდება, რასაც თავისთავად მოყვება უარყოფითი შედეგები. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მეტად კრიზისული მდგომარეობაა ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და სამხრეთ აფრიკის გარკვეულ ქვეყნებში, სადაც ტყის ფართობების პირწმინდა ჭრა მიმდინარეობს, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ჩანაცვლება ხდება. შედეგად, ირღვევა ეკოსისტემა, ნადგურდება ბიომრავალფეროვნება და მრავალი ფაუნისა თუ ფლორის სახეობის საბინადრო ადგილები.

-ჩამოთვალეთ საუკეთესო ქვეყნები, სადაც ბუნების დაცვის კანონი უზენაესია?

-ტყეების მართვის პრაქტიკის, თუ კანონის უზენაესობის მხრივ, ევროპის კონტინენტზე წარმოდგენილი ქვეყნები შეიძლება ყველაზე მოწინავე ყვეყნების რიცხვს მივაკუთნოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ: გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები.

-რას გვეტყვით საქართველოს შესახებ, სად გვაქვს ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა, ამბობენ სვანეთში უშგული აღარ იქნებაო, მდინარეები და ტბები თანდათან დაშრება, ამის საფუძველი რა არის ყველასთვის ცნობილია, მაგრამ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ საფრთხეები შეამციროს?

-ამაზე პასუხის გაცემა ამ ეტაპზე წარმოუდგენლად მიმაჩნია, ვინაიდან მას ჭირდება კომპლექსური კვლევების ჩატარება. ხოლო, რაც შეეხება ზოგადად სვანეთს, აქ ყველაზე მეტად შენახულია ტყე. ზოგადად საქართველოში ტყეზე და ტყის რესურსზე სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, ზოგიერთ ადგილას კი, ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე ზეწოლა დიდია. უკანასკნელი ტყეთმოწყობის შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარდა ხარაგაულსა და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეოებში, შემცირებულია რესურსი, შემცირებულია ტყის სიხშირე და ხარისხი. აუცილებელია ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება, ისეთი როგორიცაა: ბიომასის წარმოება, ენერგოეფექტური საშუალებების დანერგვა. ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ცნობიერების ამაღლებაც.

-რა იტყვით დედოფლისწყაროზე, ნაწინასწარმეტყველებია, რომ გაუდაბნოება გვემუქრება, განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ ამას, თუმცა ადამიანის ხელის ჩარევაც უარესს შვება.

-დედოფლისწყარო შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მოწყვლადი ადგილია საქართველოში, ვინაიდან ნალექების რაოდენობა ძალიან მცირეა. ამას ემატება პირუტყვის მიერ არამდგრადი და გადამეტებული ძოვება, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მცენარის აღმოცენებას თუ გახარებას. მიუხედავდ იმისა, რომ მცენარეულობას გააჩნია თვითაღდგენის უნარი (სუქცესიური პროცესები), მე ვერ ვიტყოდი, რომ ადამიანის ჩარევა უარეს შედეგს გამოიწვევს. ეს არის რთული პროცესი, თუმცა მეცნიერული კვლევების საფუძველზე, შესაძლებელია პროცესების ხელშეწყობა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს სასოფლო- სამეურნეო მიწების გადაწვასთან დაკავშირებით, რასაც გასულ წელს ჩვენს მიერ აღდგენილი 90 კილომეტრამდე ქარსაცავი ზოლიც კი შეეწირა. ამ ეტაპზე, ვმუშაობთ პრობლემების მოგვარების ეფექტურ გზებზე და მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს ფერმერებთან.

-წლების წინ, მე დავამუშავე საგაზეთო თემა, თუ ნიადაგის გადაწვა რაოდენ ზიანს აყენებს ნიადაგს და ადამიანებს, ჰაერს, მაშინ ჩემი მალასა, ერთ-ერთ გარემოსდაცვით საკითხებზე გამოცემულ წიგნშიც მოხვდა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, წლები ეს პრობლემა კვლავ იდგა დღის წესრიგში. ახლა თქვენ გააკეთეთ ინფორმაცია, რომ ეს ყოვლად დაუშვებელია, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მართალია ნაკლებად, მაგრამ მაინც, ფერმერების გარკვეული ნაწილი, როგორც ჩანს, კვლავ განაგრძობს აღებული ყანების გადაწვას და ამ გზით ნაკვეთის გასუფთავებას, ჰაერში კვლავ დაფრინავენ შავი მჭვარტლები, იქნებ გააკეთოთ ამაზე კომენტარი?

-ნაკვეთების გასუფთავება გადაწვის გზით წარმოადგენს ყოვლად დაუშვებელ და მახინჯ პრაქტიკას. გარდა იმისა, რომ ამ პროცესის შედეგად იზრდება ემისიები, იფიტება ნიადაგი, ნადგურდება ბიომრავალფეროვნება, ასევე, არის შემთხვევები, როდესაც ხანძარი გადაედება ტყის ეკოსისტემას. გასულ წლებში გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოების (GIZ) მიერ განახლდა ასობით კილომეტრი ზოლი, რომელიც სწორედ „ნაკვეთების გადაწვის პრაქტიკამ“ შეიწირა.

-მაინტერესებს ტყის კანონის განმარტება. ტყის კანონი გამოიგონეს მხოლოდ გლეხი კაცისთვის, რომელიც ურმით შეშას ეზიდება, თუ მათთვის, ვინც მრავალ წლიან საუკეთესო ტყეებს სამასალედ ჩეხავს და საზღვარგარეთ გააქვს?

-ტყის კოდექსი, რომელსაც დღესაც ვიყენებთ, 1999 წელს შემუშავდა. ის წლების განმავლობაში სხვადასხვა გავლენიანი პიროვნების ნებას მოერგო, ძალზედ დამახინჯებულია და მოკლედ რომ ვთქვათ, ვერ ქმნის იმ საფუძველს, რასაც თანამედროვე ტყის მართვა მოითხოვს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრომ შეიმუშავა ახალი ტყის კოდექსის კანონ-პროექტი, რომელიც აღკვეთს ტყის გაგებას, როგორც მხოლოდ „შეშა“. იგი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს; ტყეების გამოყენება მოხდება მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. და რაც მთავარია, სატყეო სექტორი გადავა „სატყეო მეურნეობებზე“, რომელიც უზრუნველყოფს ტყეების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს.

-ალბათ დაათვალიერეთ ჩვენი მინდვრები, სადაც, ფაქტიურად, ქარსაფარი ზოლები აღარ არსებობს. რას გვეტყვით ამაზე?

-ქარსაფარ ზოლებზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ჩემთვის აღნიშნული საკითხი ძალზედ ნაცნობია. ცნობილია ასევე, თუ რა მდგომარეობაშია ქარსაფარი ზოლები და ის ფართობები, რომლებიც უკვე გაიჩეხა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააჩნია გარკვეული ინიციატივები, მათ შორის კანონპროექტის მომზადება, სადაც გაიწერება ქარსაფარ ზოლების მართვასთან დაკავშირებული კომპეტენციები. უახლოეს მომავალში აქტიურად დაიწყება ფართობების აღდგენის სამუშაოები.

-რომ არა ადამიანის ხელის მიერ მწვანე საფარისთვის სერიოზული საფრთხის შექმნა, ალბათ ყველაფერი კარგად იქნებოდა, სად უნდა გადიოდეს ზღვარი ადამიანსა და ბუნებას შორის იმისთვის, რომ დაცული იყოს ბალანსი და შევინარჩუნოთ ბუნება ისეთი, როგორიც თავად სამყარომ მოგვცა?

-დაგეთანხმებით, რომ ადამიანის გარემოზე არასწორი ზეგავლენა და რესურსის ჭარბი მოხმარება მნიშვნელოვან ზიანს მოუტანს გარემოს, თუმცა ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს შესაბამის სამეცნიერო კვლევებს, პროცესების მონიტორინგს, წამოებული მონიტორინგის შედეგების შეფასებებს და გრძელვადიან დაგეგმვას.

ლალი მეხრიშვილი

ჟურნალისტის ჩანაწერები

ზაფხულის ცხელ დღეებში მოულოდნელად უკრაინაში დასვენება მომიხდა. ისე დაემთხვა, რომ პირველივე დილას კიევის ცენტრალურ გამზირზე უკრაინა დამოუკიდებლობიდან 25 წლისთავს აღნიშნავდა და მასშტაბური ღონისძიებები იყო დაგეგმილი. უკრაინაში დამოუკიდებლობის

დღე ყოველწლიურად 24 აგვისტოს აღინიშნება. 1991 წლის 24 აგვისტოს, უკრაინის უმაღლესმა რადამ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, რომლითაც უკრაინა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ერთი შეხედვით მომეჩვენა, რომ აღლუმზე საოცარი სოლიდარობა იგრძნობოდა. წვიმის მიუხედავად ხალხიც ბევრი იყო, ყველა ასაკის ადამიანს შეხვდებოდით, უმრავლესობა ნაციონალურ ტანსაცმელში და დროშებით ხელში. ქალაქში ყველაფერი დროშის ფერებით იყო გაფორმებული. პრეზიდენტ პოროშენკოს სიტყვის შემდეგ გენერლები დააჯილდოვეს და „ხრეშატნიკზე“ სამხედრო ტექნიკის მსვლელობა მოეწყო. ტროტუარზე შეკრებილი უკრაინელებისგან ხშირად გაიგებდით ყვირილს „პუტინ ხუილო!“, ნაწილს ამ წარწერით გაფორმებული მაისური ეცვა და ასე გამოხატავდა პროტესტს ოკუპანტი რუსეთის მიმართ. პრეზიდენტის მიერ საზეიმო ღონისძიების მსვლელობისას გაკეთებული ყველა აქცენტი რუსეთის გასაგონად იყო გაჟღერებული. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დემონსტრირებაც პოლიტიკურ განცხადებებთან ერთად სწორედ რუსეთის მისამართით ისმოდა. გარდა ამისა, კიევის ცენტრში „უძლეველთა მარში” გაიმართა, რომელშიც ყირიმელი თათრები და ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებიც აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული ვითარების გამო, იძულებულნი გახდნენ საკუთარი საცხოვრებელი სახლი დაეტოვებინათ.

ადგილობრივი ტელეკომპანიების ეთერით მთელი დღის განმავლობაში ექსპერტები ამ დღეს აფასებდნენ. მათი ნაწილი ამბობდა, რომ უკრაინელ ერს რუსეთთან ერთად ცხოვრება სურს და ამ ხელისუფლების კურსი საზოგადოებისთვის მიუღებელია. ისინი აღლუმზე დამსწრე მოქალაქეთა სიმცირეზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ამბობდნენ, რომ 46 მილიონიანი ქვეყნისთვის ცენტრალურ მოედანე გამოსული მოქალაქეთა რიცხვი კატასტროფულად მცირე იყო, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყნის მოქმედი ხელისუფლების კურსს ბევრი არ იზიარებს. არ ვიცი უკრაინელები რამდენად ოცნებობენ რუსეთზე, მე საწინააღმდეგოს ვფიქრობ, რადგან საოცარი მუხტი და ერთიანობა იგრძნობოდა მოედანზე, რომელიც მთლიანად ფეხით გავიარე. ჩემი გადასახედიდან ჩანდა, რომ ამ ერს ყოფითი პრობლემები და სოციალური სიდუხჭირე ნაკლებად აქვთ, რის გამოც წინა პლანზე სხვა ფასეულობები გადმოდის.

ცერემონიის დასრულების შემდეგ სამხედრო პირები პარალელურ ქუჩებზე მდებარე სკვერში სახელდახელოდ არაყს სვამდნენ და ისინიც „პუტინ ხუილოს“ სკანდირებდნენ. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცების ეს ქმედება გამიკვირდა, თუმცა, მაინც საჭიროდ ჩავთვალე მათთვის მეთქვა, რომ „გრუზინი“ ვარ და რომ რუსეთი ნამდვილად ოკუპანტია! ქართველების მიმართ მათი მხრიდანაც ჩანდა კეთილგანწყობა. ალბათ კავკასიური გარეგნობის წყალობით თითქმის ყველგან მეკითხებოდნენ რომელი ქვეყნიდან ვარ და მიღიმოდნენ. თბილი ერის შთაბეჭდილება დატოვეს.

მომდევნო დღეებშიც, ნებისმიერ სხვა ქუჩაზე გავლისას ჩანდა, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა ნაციონალური სტილის პერანგებს ატარებს, მანდილოსნებიც და მამაკაცებიც. ეს კი ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მანამდე რატომღაც მეგონა, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საზოგადოება საგანგებოდ გამოეწყო, თუმცა ტრადიციულად შემოსილი მოქალაქეების სიმრავლე შემდეგ დღეებშიც იგრძნობოდა.

ცენტრალურ გამზირებზე მდებარე ღია და დახურულ კაფეებს სულაც არ ეტყობა, რომ ეს ქვეყანა საომარ ვითარებაში იმყოფება და ირგვლივ კრიზისია. კვების ობიექტები გადაჭედილია, თავისუფალ ადგილს რთულად ნახავ. ყოველ შემთხვევაში, ტურისტის თვალით კიევში უკრაინის კრიზისი თვალშისაცემი არ არის. ქალაქში ფასებიც ნორმალურია. აქა-იქ გამოკრული რუსეთის საწინააღმდეგო სლოგანები შეგახსენებს, რომ ქვეყანა რუსულ ოკუპაციას აპროტესტებს. სუვენირების მაღაზიებშიც მრავლადაა ვლადიმერ პუტინის გაშარჟებული ფოტოები, ბევრგან შემხვდა საგანგებოდ დამზადებული ტუალეტის ქაღალდი, რომელზეც პუტინის სურათებია დაბეჭდილი. ზოგან ავტომობილებზე შენიშნავთ წარწერას - „პუტინ ხუილო!“

ბოგდან ხმელენცკის მოედანზე მდებარე კიევის ისტორიის მუზეუმში რუსული აგრესიის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა იყო წარმოდგენილი. საქართველოსგან განსხვავებით, აქ რუსული აგრესია ისევ არ განელებულა და უკრაინას ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებია... ამიტომაც მათი ემოციები გაცილებით მძაფრია. ცნობილია, რომ როგორც დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში მიმდინარე ომისას, ისე ევრომაიდნის შეტაკებებში ქართველებიც დაიღუპნენ. გარდაცვლილთა მემორიალებზე ქართველების ფოტოებიც იყო გამოკრული. უკრაინელები ხედავენ ქართველების წვლილს, ხვდებიან იმასაც, რომ ორივე ერი ერთ ბედს ქვეშ ვართ. ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა ამ ერთან. ორივე ქვეყანაში აქტუალური იყო რევოლუციები, მასშტაბური საპროტესტო აქციები, ხელისუფლების დამხობა, შიდა დაპირისპირებები და სამოქალაქო არეულობა, ამ დროს კი რუსეთი ხელსაყრელ მომენტს ელოდა და ტანკებს მოაგრუხუნებდა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შემდეგ ცენტრალური გამზირი ოლიმპიელების დასახვედრად გადაიკეტა და საგანგებო კონცერტი ჩატარდა. ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას განსხვავებული პროგრამა იყო, დამთვალიერებელს კი სადაც სურდა, იქ შეჩერდებოდა. მეტროს სადგურთან ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლი, გზაზე თანამედროვე ცეკვები იმართებოდა, ზოგგან ე.წ. „ბრეიქდანსის“ მოცეკვავეები აოცებდნენ მნახველს. მოკლედ, გართობა ნამდვილად შეგეძლო. აქვე დავამატებ, რომ აგვისტოსთვის საკმაოდ დაბალი ტემპერატურა იყო, რომელიც 23-26 გრადუსს შორის მერყეობდა. ანუ, რა მოლოდინიც მქონდა, სიცხეს არ შევუწუხებივარ.

თვალშისაცემია დედაქალაქის სიმწვანეც. მდინარე „დნეპრის“ გარშემო მოცულობითი მწვანე ზოლი და ასაკოვანი ხეები არც გამკვირვებია, მაგრამ, კიევის ცენტრალურ უბნებში, საკმაოდ დიდი ფართობის სკვერებია მოწყობილი. თუმცა, არ ვიცი, რამდენად სწორი ფორმაა სკვერი უწოდო ბაღს, სადაც ასწლოვანი ხეები მრავლადაა გაშენებული. მაოცებს ბაღების სისუფთავე. მიუხედავად ნაგვის ურნების სიმცირისა და ტურისტების სიმრავლისა, პოლიეთილენის ბოთლი, ან ზედმეტი ფოთოლიც არ შემინიშნავს. განსაკუთრებულად რთული რელიეფის რეკრეაციული ზონაა კიევის ფუნიკულიორზე, საიდანაც მდინარე „დნეპრზე“ საოცარი ხედები იშლება. აქაც რელიეფის მიუხედავად შესაშური სისუფთავე იყო. აშკარაა დასუფთავების სამსახურები კარგად მუშაობენ, თუმცა ისიც ნათელია, რომ მოქალაქეობრივი თვითშეგნებაც გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვენთან. ამ კუთხით ძალიან შემშურდა მათი. ვერსად ნახავთ სავაჭრო ჯიხურს, როგორც ჩანს ხელისუფლებას კარგად აქვს დარეგულირებული ეს საკითხიც. ყავის ან გაზიანი სასმელის შეძენა მინი ავტომობილებში შეგიძლიათ, რომლებიც ქალაქში მრავლად შეგხვდებათ. ერთია ხელისუფლება რას აკეთებს და რამდენად გამართულად მუშაობს და ასევე არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას. გამიხარდა, რომ ქართველებისგან განსხვავებით, იქ არავინ ჩეხავს მრავალწლოვან ხეებს საკმაოდ პოპულარულ უბნებში და არავინ ცდილობს რეკრეაციულ ზონებში მრავალსართულიანი კორპუსების ან სავაჭრო ობიექტების აშენებას. გარევაჭრობაც არსად შემხვედრია მიწისქვეშა გადასასვლელების გარდა. ამ გადასასვლელებში კი იგივე სურათია, რაც თბილისში, თუმცა ოდნავ დახვეწილი ფორმით - ქუჩის მუსიკოსებით, სავაჭრო ჯიხურებით და ა.შ.

განსაკუთრებული ხალხმრავლობაა მდინარე „დნეპრის“ სანაპიროზე. ტურისტების სიმრავლე ყველაზე მეტად თვალშისაცემი აქაა. გასასეირნებლად ბორანზე ავედი, ეს მდინარე თავისი სიდიდით ცნობილია, თუმცა ერთ გასეირნებას საათი და 40 წუთი თუ დასჭირდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. არც მდინარეში და მის ნაპირებზე ჭაობებში შემინიშნავს ნაგავი, რამაც ჩემი გაოცება კიდევ ერთხელ გამოიწვია. გამაოცა იმანაც, რომ კიევის მეტროპოლიტენის სადგურები ისეთივეა, როგორც თავდაპირველად აშენდა. არც ვაგონებია განახლებული, არც სადგურები. მომეჩვენა რომ მოძველებულია და რეაბილიტაცია არ აწყენდა. ქუჩაში მათხოვრებს იქაც მრავლად ნახავთ. სასიამოვნო იყო იმის ხილვა, როგორ გააღვიძა 50 წელს გადაცილებულმა სოლიდურმა ქალმა ხრეშატნიკზე, სკამზე მძინარე ნასვამი მამაკაცი. მიუხედავად იმისა, რომ ღრმად ეძინა, ქალმა დიდხანს ეძახა, გამოაღვიძა, ფუნთუშები უყიდა და უთხრა- მშიერი იქნები, ჭამეო. გაჭირვებულს ჩვენშიც ეხმარებიან, მაგრამ რატომღაც მძინარე გაიღვიძებინოთ და მძინარე ლოთებისთვის ხაჭაპური ეყიდოთ, ასეთ ფაქტს საქართველოში არ შევსწრებივარ.

სასტუმროს ნომერში მაცივარში „ბორჯომი“ საპატიო ადგილს იკავებდა, ეს რომ ვნახე, ძალიან ამაყი ვიყავი. ადვილად შეუძლიათ ადგილობრივი წარმოების წყალი შესთავაზონ სტუმრებს, თუმცა როგორც ჩანს უკრაინაში იციან ბორჯომის ფასი და ამიტომაც ბორჯომის ბოთლი ბატონობს. ამის შემდეგ დავაკვირდი და აღმოჩნდა, რომ ქართული მინერალური წყალი ყველა სავაჭრო ობიექტის დახლზე საპატიო ადგილს იკავებს, მათ შორის აეროპორტშიც და თვითმფრინავით მგზავრობის დროსაც.

ქალაქში საკმაოდ პოპულარულ ადგილებში არაერთი ქართული რესტორანი შევნიშნე, სადაც პერსონალის ნაწილი ქართველია. კლიენტების სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს რომ უკრაინაში უყვართ ხინკალიც და ხაჭაპურიც. ზოგიერთ ობიექტთან ქართული დროშაც ამაყად ფრიალებს...

P.S. ბოლო წლებში უკრაინის საზღვრის კვეთისას განსაკუთრებული წესი ამოქმედებულა ქართველების მიმართ. აეროპორტში დაჯდომისთანავე სასაზღვრო პოლიცია საქართველოს მხოლოდ იმ მოქალაქეებს აყოვნებს, რომლებიც ქვეყანაში პირველად შედიან. გადაჰყავთ ცალკე განყოფილებაში, სადაც გასაუბრებას უტარებენ და ყველა წვრილმანს ეკითხებიან. სად მუშაობ, რატომ ჩახვედი, სად მიდიხარ, სად დაბინავდები, რამდენ დღეში ბრუნდები უკან, რა თანხით ჩამოხვედი, რა სახსრებით დაბრუნდები უკან, რატომ დაინტერესდი უკრაინით, დაგხვდება თუ არა ვინმე და ნამდვილად დატოვებ თუ არა ქვეყანას. ჩემდა გასაოცრად ბევრად კონფლიქტური ქვეყნების მოქალაქეებს უპრობლემოდ უშვებდნენ, ასეთ ქართველებს კი ორ საათზე მეტ ხანს გვალოდინეს.

ილია მარტყოფლიშვილი

დიდი ადამიანების უბრალოება

აქტიურ მკითხველებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წარსადგენად დიდი ადამიანების ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები დაგვავალეს. შეხვედრაზე ბევრი საინტერესო თემა შემოგვთავაზეს. პირადად მე დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი წარვადგინე.

1904 წლის მაისში მოსკოვის სატყეო-საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი ვიქტორ წერეთელი, თავის თანაკურსელებთან ერთად, სასწავლო პრაქტიკას გადიოდა ტულის გუბერნიის სატყეო მეურნეობაში, რომელიც იასნაია პოლიანას შორიახლო მდებარეობდა. ახალგაზრდებმა, როგორც კი შეიტყვეს, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი მათი ადგილ-სამყოფელიდან სულ რაღაც 7 კილომეტრში ცხოვრობდა, გადაწყვიტეს მისი მონახულება და მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ორგანიზებულად, კიდევაც გასწიეს ძვირფასი ადამიანის ადგილ-მამულისაკენ. რამდენიმე საათის შემდეგ ისინი უკვე მწერლის კარ-მიდამოში იყვნენ და მოწესრიგებულად შეგროვდნენ მის სახლთან მდგარი მრავალწლიანი, ტოტებგაშლილი თელის ქვეშ, რომელსაც გენიალური შემოქმედის ოჯახის წევრები „გაჭირვებულთა ხეს“ ეძახდნენ (ეს სახელი მათ იმიტომ შეარქვეს, რომ სათხოვრად მისული გაჭირვებული გლეხები სწორედ აქ იყრიდნენ თავს).

არ გასულა დიდი ხანი და სახლის აივანზე გამოჩნდა მწერლის მეუღლე სოფიო ანდრიას ასული, სახლიდან გამოვიდნენ ლევ ნიკოლოზის ძე და მისი სტუმრები- მაქსიმ გორკი, მასპინძლის უახლოესი მეგობარი, ამერიკელი მწერალი უილიამ ბრაინი და სხვები. ვიქტორ წერეთელი იხსენებს: „ლევ ნიკოლოზის ძე მოვიდა ჩვენთან ახლოს, იგი ჩაცმული იყო მეტად სადად, ხელი ჩაჩრილი ჰქონდა ქამარში. ის იყო ისეთი , როგორსაც მას მთელი მსოფლიო იცნობდა.

ჩვენი საუბარი ძირითადად სატყეო მეურნეობას შეეხებოდა. მას ძალიან უყვარდა ტყე.

- კი მაგრამ, რატომ არის თქვენი პარკი ასე მოუვლელი?- თამამად ვკითხე მე.

ტოლსტოიმ დაჟინებით შემომხედა, მხრებზე ხელი მომხვია, ყურადღება მიაქცია ჩემს შავ თმას და ქართულ აქცენტს და მკითხა:-თქვენ, ალბათ, კავკასიელი ხართ?

შეიტყო თუ არა, რომ მე ქართველი ვარ, ძალიან ესიამოვნა და მაშინვე გატაცებით დაიწყო საუბარი თბილისზე, როდესაც იქ ცხოვრობდა სამხედრო სამსახურში განაწილების მოლოდინში და გაიხსენა ქართველი მეგობრები- ილია ნაკაშიძე და მისი მეუღლე.

შემდეგ ჩვენ მიგვიწვიეს სუფრასთან და გემრიელი კერძებით გაგვიმასპინძლდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დიდ მწერალს დავცილდით მადლიერნი და მოხიბლულნი.

როდესაც სადგურს ვუახლოვდებოდით, ცხენზე ამხედრებული ტოლსტოი დაგვეწვია. იგი, ჩვეულებისამებრ, სადილის შემდეგ სეირნობდა, ჩვენ გზა გადავუღობეთ, ცხენიდან ჩამოვსვით და ჰაერში მაღლა შევისროლეთ. ლევ ნიკოლოზის ძე იცინოდა და გაიძახოდა:- მომკლავთ, მომკლავთ მე! ბოლოს ისევ შევსვით უნაგირზე, კიდევ ერთხელ დაგვემშვიდობა და გაქუსლა, თან ჩვენსკენ იხედებოდა და იღიმოდა...

როცა ეს მონაკვეთი წავიკითხე, ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი: ჩემს თანამემამულეს,საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილ ს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ერთ დღეს დიდი მოწიწებით სახლში ვეწვიე მორიდებით ვესაუბრებოდი, მან კი შინაურულად მითხრა: როგორც საკუთარ სახლში, ისე მოიქეცი შენ სტუმარი კი არ ხარ, ჩემი ოჯახის ნაწილი ხარ, გუშინ მყავდნენ სტუმრები უკრაინიდან...ჩემს სახლში მოსულ თითოეულ ქართველს , რომელსაც პოეზია უყვარს, მე მას სტუმრად არ ვთვლიო. გაოცებული შევყურებდი ამ დიდ ადამიანს და გული სიამაყით ამევსო. ისიც დიდებულად გამიმასპინძლდა და ბედნიერი ღიმილით გამომაცილა, ეს იყო რამოდენიმე წლის წინ, მაგრამ გუშინდელი დღესავით მახსოვს ეს პირველი, გულთბილი შეხვედრა ქალბატონ მაყვალასთან, ის დღესაც ყველას ასე თბილად ხვდება. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა მაშინდელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან გურამ ფანჯიკიძესთან, მწერალ ლევან სანიკიძესთან და სხვებთან.



დიდ ადამიანებთან ურთიერთობამ ბევრჯერ დამარწმუნა, რომ ისინი რამდენადაც მაღალ კვარცხლბეკზე დგანან, იმდენად უბრალონი და უშუალონი არიან. მაგალითი ჩვენმა საზოგადოებამ და ახალგაზრდებმა მათგან უნდა აიღონ. დიდი ადამიანის უბრალოება მბრწყინავი გვირგვინია, რომელიც მას სხვებისგან გამოარჩევს.

ნანა ჭიჭინაძე

მონატრება

ვახო (ვოვა) მაძღარაშვილი

ჩვენო საყვარელო ვახო პაპა, ძალიან, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. ყველაზე თბილი, მზრუნველი, მოსიყვარულე და ალალი ადამიანი იყავი. ყველასთვის საუკეთესო გინდოდა, მხოლოდ სიკეთეს თესავდი ყველგან და ამიტომ კარგი ადამიანის სახელი დატოვე. ჩვენ გვეამაყება, რომ შენი შვილიშვილები ვართ.

3 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. 70 წლის იუბილე გაქვს, პაპი... ძალიან გვწყდება გული, რომ ჩვენთან აღარ ხარ. მოულოდნელად დაგვტოვე და წახვედი ლალი დეიდასთან, რომლის მონატრებაც ყველას გვტკივა და გვტანჯავს. განსაკუთრებით მარიკა ბებოს, რომელიც 14 წელია, მის გზას გასტირის.

შენ საუკეთესო პაპა იყავი, ყოველთვის გვემახსოვრები და სიყვარულით მოგიგონებთ. შენნაირი ადამიანი მართლა ცოტაა ამქვეყნად.

შენი შვილიშვილები: მეკო, როლანდი, ლანა.

გამოსათხოვარი

პეტრე მამულაშვილი

სამოცდამეერთე გაზაფხულს შეხვდი მხოლოდ, მეტი არ გარგუნა ბედისწერამ. დაამბლე შენი შვილები და შენი ოჯახი , მხარი ჩამოუგდე შენს მეუღლე ზაირას.

შენი ცხოვრება სავსე იყო სიკეთით, კაცთმოყვარეობით, ხალხისადმი და თანამშრომლებისადმი დიდი სიყვარულით.

მძიმე ავადმყოფობასთან უძლური აღმოჩნდი ექიმი კაცი. დიდი ნებისყოფის ადამიანი იყავი. ერთხელ არ დაგიჩივლია და არ დაგიკვნესია იმ მძიმე სენზე, რომელმაც დაგათმობინა ეს ლამაზი წუთისოფელი. მადლობა უფალს, დაგრჩა ფუძის შვილი შენი მიშიკო, რომელიც გააგრძელებს შენს გვარს და შენს ტრადიციებს, ძალიან მძიმეა ნინოსთვისაც, რომ ასეთ მამას კარგავს, მაგრამ რას იზამს, ამ წუთისოფელს არავინ შერჩენია ბოლომდე.

შენი ცხოვრება კაცურ კაცობით გაიარე. არ იყო ადვილი სანეპიდსადგურის უფროსობა იმ დროს, არც მწვადი უნდა დაგეწვა და არც შამფური. ჩვენ ასეთ პეტრეს გიცნობდით, ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ბოლმა მახრჩობს, რომ შენნაირი ვაჟკაცები, ასეთი სპეტაკი ადამიანები ასე უდროოდ არ უნდა მიდიოდნენ, როგორი თანადგომა იცოდი. მახსენდება ჩვენი უფროსის, ჩვენი დიდი მეგობრის და ძმის, ბატონ ჟორა სამხარაძის დაკრძალვის მომენტი, როგორ გულიანად შეუსწორე სამოსელი და სუდარა, კრძალვით დააფარე კუბოს ფიცარი და საბოლოოდ გამოეთხოვე, ცრემლითა და სინანულით. შენ თითოეული თანამშრომლის აზრი გამოხატე მაშინ. ისიც უდროოდ გავაცილეთ ამქვეყნიდან. ძალიან მეგობრულები, ძალიან მოსიყვარულეები, ერთ დიდ ოჯახად შეკრულები ვიყავით და ერთმანეთის სიყვარულს, სიხარულს, გაჭირვებას ვიზიარებდით. დღემდე ასეა.

მინდა, დარჩე ჩვენს გულში ისეთივე ხალისიანი, იუმორიანი, მჭექარე ხმით, მუდამ მოსიყვარულე, კარგი თამადა... შენი ხმა ახლაც ყურებში ჩამესმის ლხინში თუ ჭირში. ყველას გვერდში ედექი, ჩემო უმცროსო მეგობარო, ჩემი მეუღლის-გოგის გარდაცვალებისას, გაგეგო თუ არა, მოხვედი და მამხნევებდი. რას იზამ, ლამარა, შენ უნდა მარტომ ზიდო ცხოვრების მძიმე ჭაპანიო.

ჯერ სულ 1-2 თვეა, რაც ჩვენი თანამშრომელი ნათელა ჯორკოშვილი გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე და ახლა შენ დაგვწყვიტე გულები. დასანანია, რომ აღარ შეგხვდები ქუჩაში, ჭირსა და ლხინში, ჩემო პეტრე, ველარ მოგიკითხავ გულით და სულით.

სულ მინდა შენზე მოვუყვე მათ, ვინც არ გიცნობდა, რომ იყავი დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი და მოკრძალებული, შენს საქმეში საოცარი პროფესიონალი.

რაიონში ჭადრაკის მეფე იყავი., ხომ მეუბნებოდი, შენი შვილიშვილი სალომე მოჭადრაკე უნდა გავზარდოო. რატომ არღვევ პირობას. ძალიან გული დასწყდა პატარა სალომეს, მარიამს, ჩემს შვილებს ირმა და ინგას, ვისაც შენ ძალიან დიდ პატივს სცემდი.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, ჩემო პეტრე! შენ ხომ იოსებ ბაიაშვილის ლექსები ძალიან გიყვარდა, ამიტომ მინდა, მისი ლექსით გამოგეთხოვო:

დღე მოვა, ჭირი გადავა,
დროა ყველაფრის მკურნალი
ასე იხსნება, მთავრდება
ცოცხალთ ცხოვრების ჟურნალი.
ცოტა რამ არის სიკეთე,
ბევრი რამ-დასამდურვალი,
ხელში არ დაიჭირება
წუთისოფელი მზრუნველი,
წუთია ეოფნა ამ ქვეყნად
ნურვინ იფიქრებს, სუ არი!

პატივისცემით,
შენი თანამშრომელი ლამარა ბაიაშვილი.

მონატრება

თინა ფავლენიშვილი

თვალსა და ხელს შუა გაილია ორმოცი დღე. 29 აგვისტოს შენ უფლის წინაშე წარსდექ და, ვფიქრობ დაიმკვიდრე სასუფეველი, რადგან შენისთანა სიყვარულით და სიკეთით სავსე ადამიანი იშვიათია დედამიწაზე, რადგან შენ სიცოცხლეშივე ეწამე და ეწვალე იმდენი, ყველა ცოდვა გამოსყიდული გაქვს. ამას ჩვენ ვფიქრობთ ასე, ეს ასე ჩვენ გვინდა რომ იყოს. რა არის სინამდვილეში, არავინ ვიცით. თუმცა, ჩვენ ჩვენსას ვცდილობთ. ჰო, ვცდილობდი, შენი სულის საოხად ლოცვა, სანთელი და საკმეველი არ მომეკლო ამ ორმოცი დღის განმავლობაში.

და აი, ისევ ვდგავართ შენს სამარესთან ყვავილებით და სანთლებით ხელში. შენმა საყვარელმა და შენმა გაზრდილმა დის შვილისშვილმა აკაკიმ ისევ მოგვიყარა თავი შენს ნათესავებს, მეგობრებს, თანამშრომლებს. ისევ ჩამოგვიგორდა თვალიდან წრფელი სიყვარულის და მონატრების ცრემლი. მერე სადილზე ვიხსენებდით შენს განვლილ ცხოვრებას, შენს კურიოზებით სავსე სიცოცხლეს. ყველას ძალიან დაგვაკლდი, თინა, ყველას გვენატრები. უფალს ვთხოვთ, სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ნათელში იყავ, ძვირფასო ქალბატონო.

სიყვარულით,
შენი ნაირა გორაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი იუწყება თანაშრომლის

პეტრე მამულაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ემიგრანტის დიდგორი

კიდევ ერთი ახალი წიგნი დაბადა, შვილივით გვანდო და ლექსებად გაგვიზიარა. ამ წუთას მისი „ემიგრანტის დიდგორი“ ჩემს მაგიდაზე დევს. მივჩერებივარ კრებულის გარეკანის სიტყვებს და ვფიქრობ ერთადერთს, ამაზე უკეთესი და შესაფერი სიტყვა, „დიდგორი“, მართლაც რომ არ არსებობს შემოქმედი ქალისთვის, რომლის სული იტალიაში ქარიშხალივით ბობოქრობს, ზღვასავით ნაპირებს ეხეთქება და იქიდანაც ერთადერთი სტკივა, აწუხებს-სამშობლოს ბედი. იქიდანაც საქართველოზე დარდობს, საიდანაც უფრო ტკბილ-მწარეა, ნაღვერდლიანია სამშობლო სვე-ბედზე ფიქრი. მე ერთიანი საქართველო მინდაო, ამბობს ლექსებში და გული სამსხვერპლოზე მიუტანია. მხოლოდ ერთი ნატვრა გასჩრია მკერდში ,- „ქართლში ქართველი ხარობდეს!“ იგი არის პოეტი ქალი, ქალი, რომელსაც „შემოაძარცვეს იმედები და მისი ღიმილიც გაცვდა“, გულში კი დუდუნებს „ფუი, შენ , ჩემო სახედაკარგულო ერო და ვაიმე ჩემო აწმყოვ!...“ პოეტი კრიტიკასაც არ ერიდება და სამშობლოში დაბრუნებული ეძებს დაკარგულ ზრდილობას, სიალალეს, მოკრძალებულ სალამს და სიყვარულს... ვერც ერთ ლექსს ვერ გამოვტოვებ, ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ, ყველა მათგანი იმ რეალობას ხელისგულზე გვისვამს, რაც ნაღდმა ქართველმა ქალმა და დედამ უნდა განიცადოს. ყვება დღევანდელობაზე, დაცარიელებულ სოფლებზე, ჩარაზულ სახლებზე, ადამიანების შეცვლილ ხასიათზე, გაბოროტებულ სამყაროზე. ერთი სიტყვაც, ერთი სტრიქონიც არაა შორს ჩვენი ყოფითობისგან, რომელიც იტალიიდან უკეთესად შეუნიშნავს პოეტს, ვიდრე აქ ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ. არცერთი ფრაზა არ სცილდება სინამდვილეს, თვით კრიტიკაც კი მისაღებია და ვერ უარყოფს მკითხველი. სწორედ ამიტომ მარინა ჭუმბურიძე რეალისტი პოეტია, რეალური ფერებით. მეტს აღარ გავაგრძელებ, რადგან იმის ნახევრადაც ვერ გადმოვცემ მარინა ჭუმბურიძეზე, ვიდრე მისი თანამემამულე პოეტი მარინე ცხვედიაშვილი წერს ავტორზე: -„ვინ იცის რამდენჯერ უოცნებია მუხრან ბატონის ჯავრი რომ სჭირდა, ერთი იმ კაცის ქვევრ-მარანი და პურის ბეღელი პურ-ღვინით ამავსებინა, ყველა მშიერი და უქონელი დამაპურებინაო,“- ახლა ის სიკეთის ტყვეა. იტალიის მიწას შეხიზნული, იმიტომ, რომ მოყვასს ყოფა შეუმსუბუქოს, ებრძვის ცხოვრებას, სიმარტოვესა და მონატრებას. დადის უცხო ქვეყნის ფართო ქუჩებსა და სევდით მოკირწყლულ პროსპექტებზე და ყველა გზა მაინც მისი სოფლის ორღობეში ბოლოვდება. მავედრებელი თვალებით შესთხოვს ცასა და დედამიწას, ქვასა და ბალახს, მტერსა თუ მოკეთეს-„გა-მიშ-ვით, გა-მიშ-ვითო“, მაგრამ რაღაც უხილავი ხმა, თითქოს რომაელი პაპების კატეგორიული უარყოფის აღმნიშვნელი სიტყვებით-„ნონ პოსსუმუს“ -არ შეგვიძლია, არ შეგვიძლიაო, მოჰკივის, აკავებს და წინ ეღობება. სინამდვილეში, ეს სინდისის ხმაა, დიდი პასუხისმგებლობის ბოლომდე, პირნათლად შესრულებას რომ უკიჟნებს.“-წერს პოეტი მარინა ცხვედიაშვილი პოეტ მარინა ჭუმბურიძეზე და ვფიქრობ, აქ ჩემგან რაიმეს დამატება ზედმეტია.

იმისთვის, რომ უკეთ შეიგრძნოთ საკუთარი მიწის სურნელს მონატრებული ქალის სულის ხვაშიადი, დასაჭაშნიკებლად თავად განდობთ პოეტის ლექსებს.

ლალი მეხრიშვილი



დედაშვილობა

-შენი ქათქათა ხელები, დედი, რად დაგლაქია ჭორფლით?
-არაფერია! ეს ისე, შვილო, ალბათ ჯაფით და ოფლით.
-შენს ნათელ შუბლზე ნაოჭებს, დედი, რად მოუქარგავთ ბადე?
-განვლილი წლები, ფიქრით ნახედნი, კალენდარივით მადევს.
-გაშლილი მხრები რკალად რად მიგაქვს, ხომ არ გაწუხებს, დედი?
-შენ მყავდე კარგად! არ გქონდეს, შვილო, სადარდებელი მეტი!
-გული მიკვდება, ასე ადრიან თმადათოვლილს რომ გხედავ...
-მაგ შენი გულის ჭირიმე შვილო! შენ შემოგევლოს დედა!
-თვალებშიც სევდა ჩაგბუდებია, უჰეებს ადევს მუქი.
-სულ შენ გაჩუქე, ჩემო სიცოცხლევ, რაც კი რამ მქონდა შუქი!
-რით შემიძლია გადავიხადო შენი ამაგი? მითხარ...
-მაგის თქმაც კმარა, დედის იმედო, ღმერთმა გაცოცხლოს დიდხანს!
მე დედის ვალი მომიხდია და შენ ამ სიკეთეს ხედავ,
მეტი სიმდიდრე, არც მინატრია, შენ შემოგევლოს დედა!

მარინა ჭუმბურიძე
ტრიესტე, 2015 წ. იანვარი.

* * *

ასი სიცოცხლე რომ მქონდეს,
ასჯერ მომკვეთონ მარჯვენა
ასი ლახვარი რომ დამკრან,
ასგზის ტანჯვა რომ მაჩვენა.
ასჯერვე შენთვის მოვკვდები,
ვაბობ და გულში ვნატრულობ,
არ დამიდუმდე სიმღერავ,
მამა-პაპურო, ქართულო!
ჰოდა ეს ჩემი სიცოცხლე,
გთხოვ, ინაცვალო ასჯერვე.
ერთ კვნესას არ გაგაგონებ-
ჩემს ქართველობას გაჩვენებ.
მერე რა, თუკი ქალი ვარ,
-ქეთევან ქალი არ იყო?
კრულ ვიყო, ჩემი სიცოცხლე,
მე თუ შუაზე გაგიყო.
შენი ვარ! შენთვის მჭირდება,
მე დარჩენილი სიცოცხლე,
უფალო ჩემდა სანაცვლოდ,
გთხოვ, საქართველო მიცოცხლე!

არბოშიკს

მე ვიცი, შენ რა გაწუხებს,
შენი იარაც ვიცი,
გვარზე რომ ვერ ახტუნავე
შენი ნაქები კვიცი.
შენი ტკივილი მტკივა და
შენი კვნესაც კი, მესმის.
რადგან, გჩვევია ეგ სითბო,
ალერსი ჩემი ლექსის,
მანდ არის ჩემი სამვალე,
საფიცრად სულ შენ მყავხარ,
სოფელი, ერთ დროს ამაყი,
ახლა ნასოფლარს ჰგავხარ.
მტკივა ვაზი და ტყეები,
გადაუხნავი ყანა,
იშვიათობა-ქორწილი,აქა-იქ იავნანა....
„კვირიკეს“ უნდა შევთხოვო
შენი ბედი და ხვალე...
გაბრწყინებული მენახე,
ჩემო სახატევ, მალე!

* * *

ვინ არ გთხრიდა, ვინ არ გკლავდა,
ვინ არ გაცამტვერებდა,
ეგვიპტეში მამლუქებად,
მამულში კი- მწევრებად.
არაბები, თურქები თუ,
შაჰინშაჰი, ურჯულო...
მაინც რომ ვერ დაგაჩოქეს,
ასგზის გადარუჯულო!
ზოგმა ძმობა შემოგფიცა
(შენი ჭუჭყის ტოლფასმა),
ის, რაც მტერმა ვერ წაგართვა,
გამოგგლიჯა მოყვასმა.
ვისაც ხელი გაუწოდე,
ამოქაჩე წუმპიდან,
საკუთარი საფიცარი,
მან წაგგლიჯა უბიდან.
ვერ დაგიცვა, ვერ გიშველა,
ლოცვამ, ჯვარმა ვაზისამ,
მაგ შენს ლამაზ ასულთა და
მაგ შენს ტალიკ ვაჟისა...
არ დაეცე, არ შეშინდე,
ჩოქზე არ დამენახო,
ჩემო „მრავალჟამიერო“,
ჩემო „შენ ხარ ვენახო.“

ჩემი სიმდიდრე

ისე წავალ ამ ქვეყნიდან ბედნიერი,
არაფერი არ წამყვება დარდად,
არასოდეს მინატრია სხვა სიმდიდრე,
ჩემი ხალხის სიყვარულის გარდა.
ისე წავალ, „ვაის“ არც კი გაგაგონებთ,
თვენთან ყოფნა მწადია და მწადდა.
გეფიცებით, არ ვინატრებ სხვა სიმდიდრეს,
ჩემი ხალხის სიყვარულის გარდა.

გლოცავდით და კვლავ თქვენთვის მსურს, ვილოცო,
თქვენი მტერი მტრად მივიღე, მმაგდა,
თქვენს თავს ვფიცავ, სხვა სიმდიდრე არ მჭირდება
თქვენი დიდი სიყვარულის გარდა.

ძახილი

ვარ, როგორც უწულოდ თევზი და
ფრთების გარეშე თოლია.
ქვეყნის ტვირთს თითქოს მე ვზიდავ,
მტერი ოდითგან მეოლია.
გარს მახვევია მუმლი და
მერაც უფრორე გაცოფდა,
ქედი დაწულულდა უღლით და
უსამართლობით- კაცობა!
ჩემო იმედო ლურჯთვალა,
მსურს ისევ რწმენით გხატავდე,
ფერისცვალებამ დამღალა!
სადამდე, ხალხო, სადამდე?!
ერთმუშტ, ერთგზა და ერთსისხლხორც,
ერი, ღვთის გზაზე ნაფიცი,
იბერის მოდგმავ, ერთსა გთხოვ,
-უკან არცერთი ნაბიჯი!
ბოლოსდაბოლოს, იქ გაწყდეს,
სადაც სუსტი და წვრილია!
ურგებ სიცოცხლეს მრახავდნენ
შოთა, ვაჟა და ილია...
არც გვაქვს უფლება განდგომის,
იმედის გაცამტვერების.
დღეს დროა ფეხზე დადგომის,
დიადი გამარჯვებების!

ულოცავენ!

ლია ხუციშვილ-ალუღიშვილს!

საყვარელო შვილო, ძვირფასო დედავ და ბებიავ, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. დაუჯერებელია, რომ უკვე 60 წლის გახდი, რადგან არც გარეგნულად, არც ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით არ გეტყობა, რომ მალე პენსიონერი იქნები. იყავი ბედნიერი მეუღლესთან და ჩვენთან ერთად. ჯანმრთელობა და მხნეობა არ მოგაკლოს უფალმა. გკოცნით და გეფერებით:

შენი მშობლები: ლილი ბოჭორიშვილი და ჯიმი ალუღიშვილი, **შვილები:** ირაკლი და მაკა ხუციშვილები, **შვილიშვილები:** ვახტანგ (ვატო), იოანე, დემეტრე, ლიკა და ნინუკა.

გიორგი დოლენჯაშვილს!

ჩემო გიორგი, ჩემო პირველო სიხარულო, გილოცავ სტუდენტობას, ყველაზე ბედნიერ ხანას ადამიანის ცხოვრებაში! საამაყოა, რომ ოცნება აისრულე და მიზანს მიაღწიე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე 100%-იანი დაფინანსება ცოტას არ ნიშნავს. გისურვებთ, ასევე წარმატებით დაგესრულებინოს უმაღლესი განათლების მიღება. ყოველთვის გაგემართლებინოს ოჯახის იმედები ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

შენი ბებია: მანანა მარტყოფლიშვილი

ყურადღება!
გვესაჭიროება მომვლელი მოხუცი ქალისათვის (არამწოლიარე მდგომარეობაში).
☎ 555 13 21 01

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 05.09 დღე	ორშაბათი 05.09 ღამე	სამშაბათი 06.09 დღე	სამშაბათი 06.09 ღამე	ოთხშაბათი 07.09 დღე	ოთხშაბათი 07.09 ღამე	ხუთშაბათი 08.09 დღე	ხუთშაბათი 08.09 ღამე	პარასკევი 09.09 დღე	პარასკევი 09.09 ღამე	შაბათი 10.09 დღე	შაბათი 10.09 ღამე	კვირა 11.09 დღე	კვირა 11.09 ღამე
19 °	18 °	21 °	19 °	20 °	19 °	19 °	18 °	21 °	20 °	22 °	18 °	17 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.